24/08/2026

MES 5 26 0001084081

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა Zoom-ის გამოყენებით **2026 წლის 10 აგვისტოს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=87226025037
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში –საბჭო) წევრები:

ელენე კაკაბაძე – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს თავმჯდომარე);
ხათუნა ჩხარტიშვილი – სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);
ნათია ბუთხუზი – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი (საბჭოს მდივანი);
გიორგი ვეკუა – სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);
ანა არუშიძე – სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
ეკატერინე გიგაშვილი – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
გოჩა გოგიტიძე – სსიპ – სასწავლოს უნივერსიტეტის – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი (საბჭოს წევრი);
გოგიტა მშვენიერაძე – ა(ა)იპ – სამშენებლო კოლეჯ „კონტრუქტ2“-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი (საბჭოს წევრი)

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში –ცენტრი) წარმომადგენლები:

ქეთევან ჭუჭულაშვილი – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
სოფიკო ბექირაძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:
თინათინ მეფარიშვილი
შორენა ალაგარდაშვილი
ნინო მოწყობილი
ნანა შათირიშვილი
თემურ საღინაძე
ირმა ღარიბაშვილი
მამუკა ხოშტარია
ნინო რამიშვილი
ხათუნა ურუშაძე

დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს „თენექსი“
დირექტორი – ნიცა მდივანი
პროგრამების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი – ნუკრი ტუსიშვილი
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „სასტუმროს მომსახურება“ ხელმძღვანელი -ქეთევან ალიმბარაშვილი
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარია“ ხელმძღვანელი – ლევან გოდერძიშვილი

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა
დირექტორი – ვასილ კიკნაძე
სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი – ხათუნა მაისაია

სსიპ კოლეჯი „იბერია“
კოლეჯის დირექტორი – თამთა კვინიკაძე
დირექტორის მოადგილე – ელისო ჯიქიძე
ხარისხის მართვის მენეჯერი – დარეჯან ლოსაბერიძე

საბჭოს სხდომის დაწყების დრო – 12:00 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განაცხადა, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

1. შპს ,,თენექსისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „კულინარია“, „სასტუმროს მომსახურება“ პროგრამების დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს პანაცეასთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მასაჟის თერაპია“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ კოლეჯი იბერიასთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარია“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ კოლეჯი იბერიასთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ხის ნაკეთობათა და ავეჯის დამზადება“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ კოლეჯი იბერიასთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედუღება“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს არ ჰქონდა შუამდგომლობა.

პირველი საკითხი: შპს ,,თენექსისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „კულინარია“, „სასტუმროს მომსახურება“ პროგრამების დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. საბჭოს თავმჯდომარეს, ელენე კაკაბაძეს, ჰქონდა აცილება. სხდომის თავმჯდომარედ განისაზღვრა ხათუნა ჩხარტიშვილი.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **დიახ**

სხდომის თავმჯდომარემ, ხათუნა ჩხარტიშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, თინათინ მეფარიშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ „სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ 2026 წლის 16 ივნისს გამოცემული N719742 ბრძანების, 9 ივლისის ბრძანების N901675 ცვლილების თანახმად, ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან, აგრეთვე, „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის „ე.ა“ და „ე.ბ“ კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით განხორციელდა ვიზიტი 2026 წლის 20 და 21 ივლისს, შპს თენექსში (მის.: ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზირი №38; ქ. ბათუმი, მეგობრობის ქუჩა №2). ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2026 წლის პირველ ივნისს შპს თენექსის მიერ წარმოდგენილი განაცხადები, კორესპონდენციებით წარმოდგენილი თვითშეფასება და თანდართული მტკიცებულებებით, „სასტუმროს მომსახურება“ და „კულინარია“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ (ცენტრში რეგისტრაციის №648464). ზემოაღნიშნულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარია“ განხორციელების მიზნით, დაწესებულება იმატებს ადგილს/ფართს ქალაქ ბათუმის ლოკაციაზე (ქ. ბათუმი, მეგობრობის ქუჩა N2), რომელიც დაწესებულების მიერ აქამდე არ იყო გამოყენებული. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი თვითშეფასებისა და მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე შეაჯერა თავისი პოზიციები და შეიმუშავა დღის წესრიგი, რომლის მიხედვითაც ვიზიტისას განახორციელა თავისი საქმიანობა. ავტორიზაციის სტანდარტების/კომპონენტების/შესაბამისი ინდიკატორების სრულყოფილად შეფასების მიზნით გამოთხოვილი და შესწავლილი იქნა დამატებითი მტკიცებულებები; დათვალიერებული იქნა დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, როგორც ავტორიზაციის მე-5 სტანდარტის შეფასების, ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების: „სასტუმროს მომსახურება“ და „კულინარია“ მატერიალური რესურსის შეფასების მიზნით. ვიზიტის დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა გასცა უკუკავშირი ავტორიზაციის სტანდარტების შეფასების შედეგებთან მიმართებაში. ადმინისტრაციული წარმოების პროცესი იყო თანამშრომლობითი. ჩატარდა არაერთი ინტერვიუ დაწესებულების დამფუძნებლებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან. ინტერვიუთა ნაწილი განხორციელდა დისტანციური საკომუნიკაციო პლატფორმების გამოყენებით. ასევე აღსანიშნავია პრეზენტაციები, დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარმოუდგინეს დისტანციურ სწავლებისა და ელექტრონულ სისტემების შესახებ.
აღინიშნა, რომ ხარვეზი არ გამოვლენილა. ასევე, სტანდარტთან შესაბამისობის და განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა. დაწესებულება იზიარებს დასკვნის პროექტში არსებულ გარემოებებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – კულინარია
პროგრამის სახელწოდებაა „კულინარია“, რომელიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეოთხე დონეს და კურსდამთავრებულს ანიჭებს საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციას კულინარიაში (დეტალური სფეროს კოდი: 1013). პროგრამის განხორციელების ენა არის ქართული, ხოლო სწავლება იგეგმება ქალაქ ბათუმში, ორ სხვადასხვა მისამართზე: თამარ მეფის გამზირ N38-ში (ზოგადი/თეორიული სწავლების სივრცე) და მეგობრობის ქუჩა N2-ში (პრაქტიკული სწავლების ბაზა). პროგრამა ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, სადაც პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა შეადგენს 300-ს. არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში, ქართულენოვანი სტუდენტებისთვის

პროგრამის მოცულობა განისაზღვრა 90 კრედიტით, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, რომლებიც დამატებით გადიან ქართული ენის სავალდებულო მოდულებს, პროგრამის მოცულობა შეადგენს 120 კრედიტს. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა და დაეთანხმა დაწესებულების მიერ მოთხოვნილ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას.

პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების კომპონენტის (2.1) შეფასებისას აღინიშნა, რომ „კულინარიის“ პროგრამის დანერგვა პირდაპირ შეესაბამება შპს „თენექსის“ მისიაზე დაფუძნებულ შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმას, კერძოდ რეგიონში შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროგრამების განვითარების მიზანს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მიზანშეწონილობის დასაბუთება ეყრდნობა აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატის, ეკონომიკის სამინისტროსა და საქსტატის კვლევებს, ადგილობრივი HoReCa სექტორის დამსაქმებლებთან გაფორმებულ მემორანდუმებსა და დასაქმების პორტალების ანალიზს, რამაც კვალიფიციურ კულინარიულ კადრებზე მზარდი მოთხოვნა გამოავლინა. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა (300 სტუდენტი) გაანგარიშებულია სპეციალური მეთოდოლოგიით, სადაც გათვალისწინებულია სასწავლო გარემოების ტევადობა, 6 პრაქტიკული სამზარეულოს გამტარუნარიანობა, HACCP-ის უსაფრთხოების ნორმები, ორცვლიანი სწავლების გრაფიკი და დისტანციური სწავლების პლატფორმების (Discord და 10x LMS) შესაძლებლობები. პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური და ციფრული რესურსებით; მასში ინტეგრირებულია 5-კრედიტიანი არჩევითი მოდული „პრაქტიკული პროექტი – კულინარია“, რომელიც სრულად სამუშაო გარემოში ხორციელდება და მჭიდრო კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამა ოფიციალურად დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით (2026 წლის 25 მაისის N01-03/22), მისი სახელწოდება ზუსტად ასახავს შინაარსს და სრულად შეესაბამება ეროვნულ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს (№ 10.17.1).

პროგრამის განხორციელების რესურსების (2.2) ანალიზი მოწმობს, რომ დაწესებულებას გააჩნია სრული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მათ შორის თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი 6 სიმულაციური სამზარეულო. სასწავლო პროცესის მდგრადობას უზრუნველყოფს კვალიფიციური პერსონალი – თითოეულ მოდულზე გადანაწილებულია შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე სამი ან მეტი პროფესიული მასწავლებელი. პროგრამას ხელმძღვანელობს შესაბამისი გამოცდილების მქონე პირი, რომელიც აქტიურად არის ჩართული ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში. სასწავლო რესურსები სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია როგორც ბიბლიოთეკაში (Open Biblio-ს მეშვეობით), ისე ელექტრონულად (Google Classroom, Discord, 10x LMS). უზრუნველყოფილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) პირთა თანაბარი წვდომა ადაპტირებულ რესურსებსა და ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებზე. ფინანსური თვალსაზრისით, პროგრამის მდგრადობა გარანტირებულია სახელმწიფო ვაუჩერული დაფინანსებითა და გააზრებული საპროგნოზო ბიუჯეტით.

პროგრამის შეფასებისა და განვითარების მხრივ (2.3) აღინიშნა, რომ შპს „თენექსში“ მოქმედებს PDCA (დაგეგმე-გააკეთე-შეამოწმე-იმუშავე) ციკლზე დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. იგი მოიცავს შრომის ბაზრის პერიოდულ ანალიზს, სტუდენტთა და დამსაქმებელთა გამოკითხვებს, კურსდამთავრებულთა მონიტორინგსა და შიდა აუდიტს. ხარისხის მენეჯერის წლიური ანგარიშებისა და KPI/OKR ინდიკატორების საფუძველზე ხორციელდება პროგრამისა და მოდულების პერიოდული განახლება და მოდიფიცირება.

სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და სტუდენტთა შეფასების კუთხით, პროცესი მიმდინარეობს დამტკიცებული სასწავლო გეგმისა და კალენდრის შესაბამისად. დაწესებულება იჩენს მოქნილობას სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების მიმართ, რაც დასტურდება სტატუსაღდგენილი სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისა და სტატუსის შეჩერება/აღდგენის გამართული მექანიზმებით. სწავლებისას გამოიყენება

თანამედროვე ჰიბრიდული და ციფრული მეთოდოლოგია: თეორიული კომპონენტები ხორციელდება დისტანციურად, ხოლო პრაქტიკული უნარების გამომუშავება ხდება უშუალოდ სამზარეულოში. აღსანიშნავია, სპეციალიზებული 10x LMS სისტემის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიური პროცესის, დასწრების, მონიტორინგისა და აკადემიური კეთილსინდისიერების ავტომატიზებულ კონტროლს. შრომის უსაფრთხოება დაცულია დოკუმენტაციითა და სამზარეულოს სპეციფიკური ინსტრუქციებით (HACCP ნორმების გათვალისწინებით). შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე და ობიექტური; იგი ითვალისწინებს შიდა ვერიფიკაციის მრავალეტაპიან მექანიზმს ხარისხის მენეჯერისა და დარგის ექსპერტების მონაწილეობით. შეფასების უწყისები და მტკიცებულებები ინახება 3 წლის ვადით (მათ შორის LMS-ის ცენტრალიზებულ არქივში), ხოლო შეფასების შედეგები აქტიურად გამოიყენება სტუდენტთა შემდგომი განვითარებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე გიგაშვილმა, შეკითხვით მიმართა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, დაწესებულება გეგმავს აღნიშნულ პროგრამებზე 300-300 სტუდენტის მიღებას. ეკატერინე გიგაშვილი დაინტერესდა, ასახულია თუ არა მემორანდუმებსა და ხელშეკრულებებში სტუდენტთა პრაქტიკის გადანაწილების მექანიზმები და დაადასტურეს თუ არა პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებმა აღნიშნული რაოდენობის სტუდენტთა მიღების შესაძლებლობა. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თინათინ მეფარიშვილმა, განმარტა, რომ ადგილზე ვიზიტისა და გამოთხოვილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დადასტურდა სტუდენტთა გადანაწილების სქემა. მან აღნიშნა, რომ პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებმა განაცხადეს მზადყოფნა სტუდენტთა მიღებაზე. ეკატერინე გიგაშვილის დამატებით შეკითხვაზე კონკრეტული რაოდენობების შესახებ, თინათინ მეფარიშვილმა განაცხადა, რომ თითოეულ პრაქტიკის ობიექტზე გადანაწილებულია 75 სტუდენტი, რომლებიც დღის ციკლის განმავლობაში მცირე ჯგუფებად მოქმედებენ როტაციის პრინციპით. ეკატერინე გიგაშვილი დაინტერესდა, თუ ვინ არის პასუხისმგებელი აღნიშნული პროცესის ადმინისტრირებასა და მონიტორინგზე – კოლეჯი თუ პრაქტიკის ობიექტის მიერ გამოყოფილი პირი. ავტორიზაციის ექსპერტმა, შორენა ალაგარდაშვილმა, განმარტა, რომ სტუდენტები დეპარტამენტებში გადანაწილებულნი არიან 5-კაციან ჯგუფებად. პროცესს ადგილზე მეთვალყურეობს პრაქტიკის ობიექტის მხრიდან ხელშეკრულებით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი (მენტორი). ამასთანავე, სწავლის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, კოლეჯი ახორციელებს შიდა მონიტორინგს. საბჭოს მდივანმა, ნათია ბუთხუზმა, დააზუსტა მენტორების რაოდენობისა და დატვირთვის საკითხი 75 სტუდენტზე სასტუმროს მომსახურების პროგრამის შემთხვევაში. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ იყო ხელშეკრულების დანართები, რომლებიც განსაზღვრავდა თითოეულ მენტორზე სტუდენტთა თანაფარდობასა და საათობრივ განაწილებას. შორენა ალაგარდაშვილმა აღნიშნა, რომ მენტორები წარმოადგენენ შესაბამისი დეპარტამენტების თანამშრომლებს, რომლებიც მორიგეობით იღებენ სტუდენტთა 5-კაციან ჯგუფებს. მან დასძინა, რომ ექსპერტთა ჯგუფი ინტერვიუირების პროცესში გაესაუბრა პრაქტიკის განმახორციელებლებსა და მენტორებს. ნათია ბუთხუზმა მიუთითა, რომ პროფესიული განათლების სტანდარტების შესაბამისად, გაურკვეველი რჩება, თუ როგორ უზრუნველყოფს ერთი მენტორი 75 სტუდენტის სწავლებას გამოყოფილი საათების ფარგლებში, რაც პროცესის გარკვეულ ბუნდოვანებაზე მიუთითებს.

საბჭოს წევრმა, გოჩა გოგიტიძემ, დასვა შეკითხვა მენტორის სტატუსთან, მოდულის განმახორციელებლის ანაზღაურებასა და პროგრამის რენტაბელობასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ როტაციული პრინციპით 75 სტუდენტის სწავლება შესაძლოა დაკავშირებული იყოს ფინანსური ხარჯების ზრდასთან, რაც აისახება ბიუჯეტზე.

სასტუმროს მიმართულებით პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ დაწესებულებას პარტნიორობა აქვს გაფორმებული 4 სასწავლო-პრაქტიკულ ობიექტთან, სადაც გადანაწილებულია 75-75 სტუდენტი. პროცესი მიმდინარეობს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად: სტუდენტთა 5-კაციანი ჯგუფები 3-4 საათის განმავლობაში როტაციის პრინციპით (30-40 წუთიანი ინტერვალებით) გადადიან სასტუმროს სხვადასხვა „დეპარტამენტში“ (მიღება-განთავსება, დასუფთავება და ა.შ.). სწავლება მოიცავს სამ ფაზას: თეორია, დაკვირვება და პრაქტიკული შესრულება. პრაქტიკის პროცესს უძღვებიან კოლეჯის პროფესიული მასწავლებლები (პრაქტიკოსები), ხოლო სასტუმროს თანამშრომლები უზრუნველყოფენ დამატებით მეთვალყურეობას. შორენა ალაგარდაშვილმა დაამატა, რომ 300 სტუდენტის მიღება დაგეგმილია 25-კაციანი ჯგუფების სახით, ხოლო ჯგუფის რენტაბელობის ზღვარი შეადგენს 15 სტუდენტს.

გოჩა გოგიტიძემ დააზუსტა, გულისხმობს თუ არა 5-კაციანი ჯგუფების როტაცია მასწავლებლისათვის საათობრივი ანაზღაურების ხუთჯერ გაზრდას (მაგალითად, 20-საათიანი მოდულის შემთხვევაში 100 საათის ანაზღაურებას). კოლეჯის დირექტორმა, ნიცა მდივანმა, განაცხადა, რომ შრომითი ანაზღაურება არ სცდება დადგენილ სტანდარტს და თითოეული მასწავლებლის დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. ნათია ბუთხუზმა აღნიშნა, რომ საათების გაყოფის შემთხვევაში იზრდება პროგრამის ბიუჯეტში მენტორისთვის გათვალისწინებული ხარჯები.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა დეტალურად განმარტა პრაქტიკის განხორციელების მოდელი. მან აღნიშნა, რომ 25-კაციან ჯგუფს პირველ ფაზაში თეორიულ ნაწილს და დემონსტრირებას უტარებს ერთი პროფესიული მასწავლებელი. შემდგომ ფაზაზე სტუდენტები გადადიან სასტუმროს სივრცეებში (საკონფერენციო დარბაზები, დეპარტამენტები) დაკვირვებითი სწავლების მიზნით. ამ პროცესში გამოიყენება სასტუმროს ადამიანური რესურსი – მოქმედი თანამშრომლები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროცესის ჩვენებას. თითოეულ 25-კაციან ჯგუფს ჰყავს კოლეჯთან ხელშეკრულებით გაფორმებული ერთი პროფესიული მასწავლებელი (რომელიც ამავდროულად არის სასტუმროს თანამშრომელი), ხოლო სასწავლო პროცესის საერთო მონიტორინგს ახორციელებენ კოლეჯის პროგრამის კოორდინატორები. გოჩა გოგიტიძის შეკითხვაზე, იზრდება თუ არა ანაზღაურება, დაწესებულების ხარისხის მენეჯერმა უპასუხა, რომ ანაზღაურება არ იზრდება. მასწავლებელი იღებს ანაზღაურებას კონკრეტული საათებისთვის (თეორია, დემონსტრირება, პრაქტიკის ზედამხედველობა), ხოლო პრაქტიკის ობიექტის თანამშრომელთა ჩართულობა ხორციელდება სასტუმროსთან გაფორმებული შეთანხმების ფარგლებში.

ეკატერინე გიგაშვილი დაინტერესდა პრაქტიკის ობიექტებზე (4 სასტუმროში) შრომისა და სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დაცვისა და სტუდენტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებით. ნიცა მდივანმა განაცხადა, რომ პარტნიორ სასტუმროებში დაცულია უსაფრთხოების ყველა სტანდარტი. ეკატერინე გიგაშვილმა დააზუსტა, რომ კითხვა ეხებოდა სტუდენტთა უსაფრთხოების კონკრეტულ მექანიზმებსა და ოქმებს/პროტოკოლებს (მაგალითად, ინსტრუქტაჟის ხელწერილებს), რომელთაც დაწესებულება იყენებს პრაქტიკის პროცესში. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თინათინ მეფარიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შემუშავებულია შრომის უსაფრთხოების დეტალური დოკუმენტაცია. აღნიშნული უზრუნველყოფს სტუდენტთა უსაფრთხოების ნორმების სრულფასოვან დაცვას როგორც შიდა სასწავლო სივრცეებში (აუდიტორიებში), ისე პრაქტიკის ობიექტებზე. საბჭოს მდივანმა, ნათია ბუთხუზმა იკითხა, ტარდება თუ არა სტუდენტებისთვის წინასწარი ტრენინგები ინსტრუქტაჟის სახით უსაფრთხოების წესების გასაცნობად. დაწესებულების დირექტორმა განმარტა, რომ სასწავლო პროცესი მოიცავს შესაბამის მოდულს,

ხოლო დაწესებულების პერსონალს გავლილი აქვს შესაბამისი გადამზადება და ფლობს კვალიფიკაციის დამადასტურებელ სერტიფიკატებს. ნათია ბუთხუზმა გამოთქვა ეჭვი სტუდენტების დიდ რაოდენობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სტუდენტთა სიმრავლის გამო შესაძლოა ყველა მათგანმა ვერ მიიღოს თანაბარი ხარისხის პრაქტიკული გამოცდილება სასტუმროებსა თუ კულინარიულ სივრცეებში, რამაც შესაძლოა ხარვეზები გამოიწვიოს. დაწესებულების დირექტორმა განაცხადა, რომ ორგანიზაციასა და მის დამფუძნებლებს სფეროში მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ. პროგრამების დამატების მთავარ მიზნად დასახელდა მასპინძლობისა და კულინარიის სექტორში არსებული კადრების მუდმივი დეფიციტის შევსება და დარგის განვითარების ხელშეწყობა. დარგის ექსპერტმა, ნანა შათირიშვილმა დააზუსტა პრაქტიკის ობიექტების გამტარიანობის საკითხი. მან განმარტა, რომ პარტნიორული ხელშეკრულებები გაფორმებულია 4 მსხვილ სასტუმროსთან, რომელთაგან თითოეულში ფუნქციონირებს 10-დან 15-მდე დეპარტამენტი. სტუდენტთა გადანაწილება თითოეულ დეპარტამენტში მცირე ჯგუფებად (5 სტუდენტი) სრულად უზრუნველყოფს მოთხოვნილი კვოტის შეუფერხებელ გადანაწილებასა და პრაქტიკის ეფექტურ განხორციელებას. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თინათინ მეფარიშვილმა დაადასტურა, რომ ადგილზე ვიზიტისას დეტალურად შეფასდა ადამიანური და მატერიალური რესურსი. თითოეულ მოდულს ჰყავს მინიმუმ 2-3 განმახორციელებელი (რეზერვის გათვალისწინებით), ხოლო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულად შეესაბამება 300 სტუდენტის მიღების შესაძლებლობას.

სხდომის თავმჯდომარემ, ხათუნა ჩხარტიშვილმა, დასვა შეკითხვა კულინარიის პროგრამისთვის განკუთვნილი მატერიალური ბაზის გამტარიანობასა და პრაქტიკული მეცადინეობების ორგანიზებასთან დაკავშირებით. დარგის ექსპერტმა, ნანა შათირიშვილმა, განმარტა, რომ დაწესებულებაში მოწყობილია ექვსი სასწავლო სამზარეულო (თითოეული დაახლოებით 100 კვ.მ ფართობის), რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე პროფესიული ინვენტარითა და ცენტრალური სამუშაო სივრცეებით. სწავლა დაგეგმილია ორ ცვლაში, სადაც თითო ჯგუფში გადანაწილდება 25 სტუდენტი. პროცესს გაუძღვება 20 მოწვეული ბრენდ-შეფი და პროფესიონალი მზარეული. საბჭოს წევრის, გოჩა გოგიტიძის დამატებით კითხვაზე პასუხად, ნანა შათირიშვილმა და თინათინ მეფარიშვილმა დააზუსტეს, რომ აღნიშნული სამზარეულოები, დამხმარე სასაწყობე ფართები, კამერა-მაცივრები და გასახდელები განკუთვნილია ექსკლუზიურად სასწავლო პროცესისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ, ხათუნა ჩხარტიშვილმა, იკითხა თეორიული კომპონენტის ელექტრონულ/ჰიბრიდულ ფორმატში განხორციელების ეფექტიანობისა და ტექნიკური რისკების მართვის შესახებ. ნანა შათირიშვილმა დადებითად შეაფასა თეორიული მოდულების დისტანციურად სწავლება და აღნიშნა, რომ ციფრული პლატფორმები სრულად უზრუნველყოფს სასწავლო შედეგების მიღწევას.

დაწესებულების დირექტორმა დაადასტურა, რომ სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ლექციების ჩანაწერები LMS პლატფორმაზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტების მომარაგებას შესაბამისი ტექნიკით (კომპიუტერებით).

თინათინ მეფარიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ გამოყენებული Discord და LMS სისტემები იძლევა სტუდენტთა აქტივობისა და დასწრების წუთობრივი მონიტორინგის საშუალებას.

პროგრამების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ნუკრი ტუსიშვილმა, საბჭოს წარუდგინა ინფორმაცია გამოყენებული ტექნოლოგიური პლატფორმების შესახებ. მან განმარტა, რომ დაწესებულება იყენებს სამ ინტეგრირებულ სისტემას, მათ შორის მობილურ აპლიკაციას ინტერაქციული დავალებებითა და ოფლაინ წვდომის ფუნქციონალით, რაც მინიმუმამდე ამცირებს ინტერნეტის ხარვეზებით გამოწვეულ რისკებს.

სხდომის თავმჯდომარემ, ხათუნა ჩხარტიშვილმა, მადლობა გადაუხადა მომხსენებლებს და საბჭოს წევრებს მიმართა დამატებითი შეკითხვების დასასმელად. საბჭოს წევრებს დამატებითი შეკითხვები არ დაუსვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ,,თენექსისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „კულინარია“, „სასტუმროს მომსახურება“ პროგრამების დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, შპს ,,თენექსს“ (ს/კ: 405650549) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები „კულინარია“, „სასტუმროს მომსახურება“ **(დანართი 1).**

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 10 აგვისტო.

მეორე საკითხი: შპს პანაცეასთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მასაჟის თერაპია“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა

ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო რამიშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ – „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ დირექტორის 02/07/2026 ბრძანება N 838389 საფუძველზე, 2026 წლის 10 ივლისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეაში (მის.: ქ. თბილისი, თორნიკე ერისთავის 15 ა.) ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მასაჟის თერაპია“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება. ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობა, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, პერსონალის კვალიფიკაცია და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. განხორციელდა სასწავლო სივრცეების ფიზიკური დათვალიერება, მათ შორის, დარგობრივი ლაბორატორიის და ბიბლიოთეკის შემოწმება. ჩატარდა ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, მასწავლებლებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან. ვიზიტი წარიმართა კოლეგიალურ და მშვიდ გარემოში, რომელიც დასრულდა დღის შეჯამებითა და დაწესებულების წარმომადგენლებისთვის გამოკვეთილი მიგნებების გაცნობით.
აღინიშნა, რომ ხარვეზი არ გამოვლენილა. ასევე, სტანდარტთან შესაბამისობის და განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – მასაჟის თერაპია
პროგრამის სახელწოდებაა „მასაჟის თერაპია“, რომელიც შეესაბამება პროფესიული განათლების მეხუთე დონეს. კურსდამთავრებულს ანიჭებს უმაღლეს პროფესიულ კვალიფიკაციას მასაჟის თერაპიაში (დეტალური სფეროს კოდი: 0915). პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 9 ივნისის №102 ბრძანებით. სწავლების ენაა ქართული. მისამართი: ქალაქ თბილისი, თორნიკე ერისთავის ქუჩა №15ა. პროგრამის განხორციელების ფორმაა რეალურ სამუშაო გარემოში სწავლება (კოოპერაციული ფორმატით). პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა შეადგენს 60 სტუდენტს. არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში, ქართულენოვანი სტუდენტებისთვის პროგრამის მოცულობა განისაზღვრა 97 კრედიტით, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, რომლებიც დამატებით გადიან ქართული ენის სავალდებულო მოდულებს (A2 და B1), პროგრამის მოცულობა შეადგენს 127 კრედიტს. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა და დაეთანხმა დაწესებულების მიერ მოთხოვნილ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას.
პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების (2.1) შეფასებისას აღინიშნა, რომ „მასაჟის თერაპიის“ პროგრამის დანერგვა ეფუძნება კოლეჯის მისიას, 2020–2027 წლების სტრატეგიულ განვითარებასა და 2026 წლის სამოქმედო გეგმას. დაწესებულებას გააჩნია 2012–2018 წლებში „მასაჟისტის“ პროგრამის განხორციელების წარმატებული გამოცდილება. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, ხოლო აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების საფუძველზე. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა (60 სტუდენტი, წელიწადში 30-30 სტუდენტის მიღების გათვლით) გაანგარიშებულია სპეციალური მეთოდოლოგიით,

სადაც გათვალისწინებულია A და C სასწავლო გარემოების 30-ადგილიანი ტევადობა და პარტნიორ ორგანიზაციაში (შპს „აურა პლიუსი“) არსებული პრაქტიკული რესურსი. პროგრამაში ინტეგრირებულია არჩევითი მოდული „ესთეტიკური მასაჟი“, რომელიც ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამა ოფიციალურად დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის – დირექტორის მიერ. მისი სახელწოდება ზუსტად ასახავს შინაარსს და სრულად შეესაბამება მოქმედ საკანონმდებლო მოთხოვნებსა და ეროვნულ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს.

პროგრამის განხორციელების რესურსების (ინდიკატორი 2.2) ანალიზი აჩვენებს, რომ კოლეჯი და პარტნიორი ორგანიზაციები უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. სასწავლო პროცესის მდგრადობას უზრუნველყოფს 31 პროფესიული განათლების მასწავლებელი (23 პროფესიული, 7 ზოგადი და 1 ქართული ენის), რომელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. პერსონალი და პროგრამის ხელმძღვანელი აკმაყოფილებენ დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და დარგობრივ კომპეტენციებს. სასწავლო რესურსები სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით. ინფრასტრუქტურა და პროცესები სრულად ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირებისთვის (პანდუსი, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმები და მხარდამჭერი ჯგუფი). ფინანსური თვალსაზრისით, საპროგნოზო ბიუჯეტი და 15-სტუდენტიანი რენტაბელობის ზღვარი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

პროგრამის შეფასებისა და განვითარების მხრივ (2.3) აღინიშნა, რომ კოლეჯში მოქმედებს PDCA (დაგეგმვა – განხორციელება – შეფასება – გაუმჯობესება) ციკლზე დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი. იგი მოიცავს შრომის ბაზრის მოთხოვნების კვლევას, დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, მასწავლებლები, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები) გამოკითხვასა და შუალედური შეფასებების ანალიზს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადებული დასკვნებისა და რეკომენდაციების საფუძველზე, ადმინისტრაციული საბჭო გეგმავს შესაბამის გაუმჯობესების ღონისძიებებს.

სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და სტუდენტთა შეფასების კუთხით აღინიშნა, რომ პროცესი მიმდინარეობს დამტკიცებული სასწავლო გეგმების შესაბამისად. დაწესებულება იჩენს მოქნილობას სტუდენტთა ინტერესების მიმართ, უზრუნველყოფს საორიენტაციო შეხვედრებს, ცხრილების მოქნილ დაგეგმვასა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების გამოყენებას. სწავლებისას გამოიყენება თანამედროვე ინტერაქტიული მეთოდები და ციფრული ტექნოლოგიები. პრაქტიკის ობიექტთან (შპს „აურა პლიუსი“) გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს 30 სტუდენტის მიღებისა და ინსტრუქტორების ჩართულობის პირობებს. უსაფრთხოება და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები დაცულია სპეციალური ინსტრუქციით, სადაც გაწერილია სამასაჟე მაგიდების დეზინფექციისა და ერთჯერადი მასალების გამოყენების წესები. შეფასების სისტემა დაფუძნებულია კომპეტენციებზე, მოიცავს განმავითარებელ და განმსაზღვრელ კომპონენტებს, შუალედურ შეფასებასა და საკვალიფიკაციო გამოცდას. შეფასების ინსტრუმენტები გადის წინასწარ ვალიდაციას, ხოლო შეფასების პროცესი ექვემდებარება შიდა ვერიფიკაციას. შეფასების მტკიცებულებები ინახება 3 წლის ვადით, ხოლო უწყისები – მუდმივად. შეფასების შედეგები გამოიყენება სტუდენტთა შემდგომი განვითარებისა და ინდივიდუალური მხარდაჭერისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს პანაცეასთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მასაჟის თერაპია“ დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, შპს პანაცეას (ს/კ: 400023595) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მასაჟის თერაპია“ **(დანართი 2).**

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 10 აგვისტო.

საბჭოს წევრმა ხათუნა ჩხარტიშვილმა დატოვა სხდომა.

მესამე საკითხი: სსიპ კოლეჯი იბერიასთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარია“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თინათინ მეფარიშვილმა, საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის სიპ – განათლების ხარისხი 2026 წლის 4 ივნისის N667368 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "კულინარიის" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით სსიპ კოლეჯ "იბერიაში" 2026 წლის 17 ივნისს (ქ. ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N61). ვიზიტამდე, ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული დოკუმენტაცია. ჯგუფის წევრებს შორის გაიმართა შიდა შეხვედრები, დაიგეგმა ვიზიტის დღის წესრიგი და განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები. აღნიშნული დღის წესრიგი წინასწარ გადაეგზავნა დაწესებულებას და ვიზიტიც მისი მიხედვით წარიმართა. ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, ხარისხის უზრუნველყოფაზე, სასწავლო პროცესზე, ადამიანურ რესურსებსა და მატერიალურ ბაზაზე პასუხისმგებელ პირებს, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს. ასევე, ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო სივრცეები, პრაქტიკის ბაზები, ბიბლიოთეკა და სხვა მატერიალური რესურსები. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია გაანალიზა დოკუმენტური მასალის, ვიზუალური დათვალიერების და ინტერვიუების საფუძველზე. ძირითადი მიგნებები ვიზიტის მსვლელობისასაც მიეწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს და სრულად შეჯამდა ვიზიტის დასასრულს.

გაიცა **სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები:**

1. ,,კულინარიის“ ახალი პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებთან არსებული რესურსის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, დაწესებულებამ წარმოადგინა კოლეჯის „იბერია“ დირექტორის 2026 წლის 13 მაისის MES 565732 ბრძანებით დამტკიცებული „შესაბამისობის გეგმა“, სადაც მითითებულია, რომ ,,კულინარიის" საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულება საჭიროებს პროგრამის განაცხადის „დანართ 2“-ში მითითებული აღჭურვილობის შეძენას. მატერიალური რესურსის შეძენის დასრულების ვადად განსაზღვრულია – 2026 წლის 11 ნოემბერი. დაფინანსება განხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. განსაზღვრულია შემსრულებელი და შესრულების ინდიკატორები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, **ექსპერტებმა ინდიკატორი 2.2.1.1 შეაფასეს, როგორც მეტწილი შესაბამისობა.**

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას- შესაბამისობის გეგმა გაკეთებულია შემდეგი მოდულებისთვის: "სტუმარმასპინძლობის შესავალი" და "საკონდიტრო ნაწარმისა და დესერტების მომზადება" . შესაბამისი კომპეტენციის მქონე კადრების მოძიება და შერჩევს დასრულების სავარაუდო თარიღი წარმოდგენილი აქვს დაწესებულებას 12 ოქტომბერი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, **ექსპერტებმა ინდიკატორი 2.2.1.2 შეაფასეს, როგორც მეტწილად შესაბამისი.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – კულინარია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებაა „კულინარია“, რომელიც შეესაბამება პროფესიული განათლების მე-4 დონეს და კურსდამთავრებულს ანიჭებს საშუალო

პროფესიულ კვალიფიკაციას კულინარიაში (დეტალური სფეროს კოდი: 1013). პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 18 მაისის N581477 ბრძანებით. სწავლება ხორციელდება ქართულ ენაზე, ქალაქ ქუთაისში, ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩა N61-ში. პროგრამა ხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში, სადაც მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 60-ს. არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში, ქართულენოვანი სტუდენტებისთვის პროგრამის მოცულობა განისაზღვრა 90 კრედიტით, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, რომლებიც დამატებით გადიან ქართული ენის სავალდებულო მოდულებს, პროგრამის მოცულობა შეადგენს 120 კრედიტს. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა პროგრამაზე მოთხოვნილ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას.

პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების კომპონენტის (ინდიკატორი 2.1) შეფასებისას აღინიშნა, რომ „კულინარიის“ პროგრამის დანერგვა ეფუძნება კოლეჯის მისიას, სტრატეგიულ გეგმასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს, სადაც კულინარის პროფესიაზე მაღალი მოთხოვნა ფიქსირდება (2025 წლის საშემოდგომო მიღებაზე 1 ადგილზე 5 აპლიკანტი დარეგისტრირდა). კოლეჯს გააჩნია ამ მიმართულებით მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, ხოლო ახალი პროგრამა ჩაენაცვლა ძველ „კულინარიის ხელოვნების“ ჩარჩო დოკუმენტს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა (60 სტუდენტი) განსაზღვრულია შესაბამისი მეთოდოლოგიით C სასწავლო გარემოს (სასწავლო სახელოსნო) მაქსიმალური გამტარუნარიანობის გათვალისწინებით. პროგრამაში არჩევითი მოდულები ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის – დირექტორის მიერ (2026 წლის 13 მაისის N563066 ბრძანება). მისი სახელწოდება ზუსტად ასახავს შინაარსს და სრულად შეესაბამება მოქმედ საკანონმდებლო მოთხოვნებსა და ეროვნულ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს (№ 10.17.1). კომპონენტი 2.1 შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

პროგრამის განხორციელების რესურსების (ინდიკატორი 2.2) ნაწილი, შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“. მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვილობასთან დაკავშირებით დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის 2026 წლის 13 მაისის MES565732 ბრძანებით დამტკიცებული „შესაბამისობის გეგმა“, რომლის მიხედვითაც ნაკლული აღჭურვილობის სრული შესყიდვა დაგეგმილია 2026 წლის 13 ნოემბრამდე. ასევე, პერსონალის ნაწილში წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა კონკრეტულ მოდულებზე ("სტუმარმასპინძლობის შესავალი" და "საკონდიტრო ნაწარმისა და დესერტების მომზადება") კადრების შერჩევის დასრულების ვადით – 2026 წლის 12 ოქტომბერი. სხვა მხრივ, პედაგოგებისა და პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია და დატვირთვა (მაქს. 40 საათი კვირაში) აკმაყოფილებს მოთხოვნებს. სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში მატერიალური და ელექტრონული სახით. ინფრასტრუქტურა ადაპტირებულია სსსმ/შშმ პირებისთვის და მოქმედებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების (ისგ) შემუშავების მექანიზმები. ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია სახელმწიფო ასიგნებებით, ვაუჩერული დაფინანსებითა და ეკონომიკური შემოსავლებით (რენტაბელობის ზღვარი: 9 სტუდენტი).

პროგრამის შეფასებისა და განვითარების მხრივ (ინდიკატორი 2.3.) აღინიშნა, რომ კოლეჯში მოქმედებს დირექტორის 2020 წლის 7 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებული მეთოდოლოგია, რომელიც ეფუძნება „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ (PDCA) ციკლს. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები მოიცავს სტუდენტების, დამსაქმებლებისა და პედაგოგების გამოკითხვას, მიღებული შედეგების ანალიზსა და პროგრამაში/მოდულებში შესაბამისი არგუმენტირებული ცვლილებების განხორციელებას. კომპონენტი 2.3 შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და სტუდენტთა შეფასების კუთხით (2.4), პროცესი მიმდინარეობს დამტკიცებული სასწავლო გეგმის შესაბამისად. დაწესებულება ითვალისწინებს სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, იყენებს სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და უსაფრთხოების ნორმებს (მოქმედებს ვიდეომონიტორინგი, საევაკუაციო სისტემები და შრომის უსაფრთხოების სპეციალური ინსტრუქცია). საწარმოო პრაქტიკის კომპონენტი ხორციელდება

პარტნიორ ორგანიზაციებთან (მაგ. რესტორანი „ახალი გრანდი“, „ჰაკერ ფშორი“, „ბასტილია“, შპს „ასტორია“) გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე. შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე და ობიექტური. იგი მოიცავს შეფასების ინსტრუმენტების წინასწარ ვალიდაციას, შეფასების პროცესისა და მტკიცებულებების შიდა ვერიფიკაციის მექანიზმს. შეფასების მონაცემები ინახება 3 წლის ვადით, ხოლო შედეგები აქტიურად გამოიყენება სტუდენტთა შემდგომი განვითარებისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის. კომპონენტი 2.4 შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, თინათინ მეფარიშვილს, მიმართა შეკითხვით დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის რეალისტურობასთან დაკავშირებით. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების დასრულების ვადად განსაზღვრულია 13 ნოემბერი, ხოლო სასწავლო პროცესი იწყება ნოემბრის ბოლოს ან დეკემბრის დასაწყისში. მან იკითხა, თუ რამდენად შეაფასეს ექსპერტებმა სახელმწიფო შესყიდვებთან, მიწოდებასთან, მონტაჟსა და ადამიანური რესურსების შერჩევასთან დაკავშირებული რისკები, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას სასწავლო პროცესის დროულ და ხარისხიან დაწყებას, განსაკუთრებით იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აღნიშნული რესურსები ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თინათინ მეფარიშვილმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად განიხილა აღნიშნული საკითხები დაწესებულების ადმინისტრაციასთან, მათ შორის დირექტორსა და ფინანსურ წარმომადგენელთან, აგრეთვე დარგის ექსპერტებთან ერთად. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტური მტკიცებულებები, მათ შორის მიმოწერა და დაწყებული სამუშაოების დამადასტურებელი მასალები, რაც იძლევა იმის საფუძველს, რომ პროცესები განსაზღვრულ ვადაში დასრულდება და სწავლის დაწყებას საფრთხე არ შეექმნება.
კოლეჯის დირექტორმა, თამთა კვინიკაძემ, საბჭოს მიაწოდა განახლებული ინფორმაცია ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ სამინისტროს მიერ დაფინანსება გამოყოფილია, ხოლო შესყიდვების პროცედურები აქტიურ ფაზაშია. კერძოდ, პროფესიულ პროგრამებზე „ხის მხატვრული დამუშავება“ და „შედუღება“ ტენდერები დასრულებულია და მიმდინარეობს აღჭურვილობის მოწოდების ეტაპი, რომელიც აგვისტოს ბოლოსთვის დასრულდება. რაც შეეხება „კულინარიის“ პროგრამას, მცირე ზომის ინვენტარი და ჭურჭელი უკვე შეძენილია და ადგილზეა, ხოლო ძირითადი დანადგარების ნაწილში დასრულებულია ბაზრის კვლევა და უახლოეს დღეებში გამოცხადდება ტენდერი. დირექტორმა განმარტა, რომ აღნიშნული მოწყობილობების ადგილობრივი მომწოდებლები არსებობენ, რის გამოც პროცესის გაჭიანურების რისკი დაბალია. მან ასევე დასძინა, რომ კოლეჯს გააჩნია არსებული სამზარეულოს ინფრასტრუქტურა, რომლის განახლებაც მიმდინარეობს.
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თინათინ მეფარიშვილმა, დაამატა, რომ პროცესში აქტიურად იყო ჩართული დარგის ექსპერტი, რომლის რეკომენდაციებისა და კონსულტაციების გათვალისწინებითაც შესაძლებელი გახდა პროცესების გონივრულ ვადებში დაგეგმვა.
საბჭოს თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა სასწავლო პროცესის შეუფერხებლად დაწყებისა და ყველა საჭირო რესურსის ადგილზე არსებობის უზრუნველყოფის მნიშვნელობას.
კოლეჯის დირექტორმა, თამთა კვინიკაძემ, დაადასტურა, რომ სატენდერო პროცედურები დარჩენილია მხოლოდ რამდენიმე ძირითად დანადგარზე და დარგის ექსპერტის დახმარებით სწორად განისაზღვრა ფასები, რათა თავიდან იქნეს აცილებული ტენდერის ჩაშლის საფრთხე.

საბჭოს თავმჯდომარე, ელენე კაკაბაძე, დაინტერესდა ადამიანური რესურსების უზრუნველყოფის საკითხით. მან აღნიშნა, რომ შესაბამისობის გეგმის მიხედვით, კულინარიის პროგრამის ორ მოდულზე – „სტუმარ-მასპინძლობის შესავალი“ და „საკონდიტრო ნაწარმის და დესერტების მომზადება“ – განსაზღვრული იყო შესაბამისი კომპეტენციის მქონე პედაგოგების მოძიება 12 ოქტომბრამდე. თავმჯდომარემ იკითხა, თუ რატომ შეფასდა აღნიშნული კომპონენტი „მეტწილ შესაბამისობად“ და არ იქნა მიჩნეული პროგრამის მდგრადობის მნიშვნელოვან რისკად, იმის გათვალისწინებით, რომ კადრების შერჩევის შემდეგ მათ სასწავლო პროცესში ჩასართავად და მოსამზადებლად დამატებითი დრო ესაჭიროებათ.
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თინათინ მეფარიშვილმა, განმარტა, რომ დარგის ექსპერტი დეტალურად გაესაუბრა პროგრამის ხელმძღვანელსა და ადმინისტრაციას. ვიზიტის პერიოდში უკვე გადადგმული იყო კონკრეტული ნაბიჯები, მოძიებული იყო რამდენიმე კანდიდატურა და 12 ოქტომბრამდე დარჩენილი ვადა მიჩნეულ იქნა სრულიად საკმარისად კადრების საბოლოო შერჩევისა და სასწავლო პროცესისთვის მომზადებისათვის, რის გამოც აღნიშნული საკითხი პროგრამის მდგრადობას საფრთხეს არ უქმნიდა.
კოლეჯის დირექტორმა, თამთა კვინიკაძემ, საბჭოს აცნობა, რომ აღნიშნულ მოდულებზე კადრები უკვე მოძიებულია. კერძოდ, საკონდიტრო მოდულის განსახორციელებლად შერჩეულია კოლეჯის კურსდამთავრებული, რომელსაც გავლილი აქვს შესაბამისი გადამზადება, გააჩნია პედაგოგიური გამოცდილება არაფორმალური განათლების სექტორში და მასთან თანამშრომლობა თითქმის საბოლოოდ არის შეთანხმებული. გარდა ამისა, განხილვის პროცესშია ალტერნატიული კადრების დამატების საკითხიც.
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თინათინ მეფარიშვილმა, დაადასტურა, რომ დაწესებულების მხრიდან გადადგმული აქტიური ნაბიჯები იძლეოდა საკმარის საფუძველს იმისათვის, რომ აღნიშნული საკითხი არ შეფასებულიყო მდგრადობის შემაფერხებელ გარემოებად.
კოლეჯის დირექტორმა, თამთა კვინიკაძემ, დასძინა, რომ დაწესებულება თავიდანვე გააზრებულად მიუდგა აღნიშნულ საკითხს და შესაბამისობის გეგმაში თავად გაითვალისწინა პერსონალის დამატების საჭიროება, რათა მომხდარიყო აკადემიური შემადგენლობის გაძლიერება.
საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, იკითხა, არსებობდა თუ არა უკვე კონკრეტული კანდიდატურა „სტუმარ-მასპინძლობის შესავლის“ მოდულთან დაკავშირებით. კოლეჯის დირექტორმა, თამთა კვინიკაძემ, დაადასტურა, რომ აღნიშნულ მოდულზე აყვანილია ახალი კადრი, რომელსაც აქვს სასტუმროსა და რესტორნის მართვის გამოცდილება, ფლობს შესაბამის კვალიფიკაციას ტურიზმის მიმართულებით და სრულად აკმაყოფილებს მოდულის განხორციელებისათვის დადგენილ მოთხოვნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯი იბერიასთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარია“ დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული

,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ კოლეჯი იბერიას (ს/კ: 212682051) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კულინარია“ **(დანართი 3).**

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 10 აგვისტო.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს მონიტორინგი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „კულინარია“ 2.2. კომპონენტში. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი. მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 16 ნოემბერი.

მეოთხე საკითხი: სსიპ კოლეჯი იბერიასთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ხის ნაკეთობათა და ავეჯის დამზადება“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თინათინ მეფარიშვილმა, საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის სიპ – განათლების ხარისხი 2026 წლის 4 ივნისის N667434 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ხის ნაკეთობათა და ავეჯის დამზადება" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1

ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით სსიპ კოლეჯ "იბერიაში" 2026 წლის 18 ივნისს (ქ. ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N61). ვიზიტამდე, ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული დოკუმენტაცია. ჯგუფის წევრებს შორის გაიმართა შიდა შეხვედრები, დაიგეგმა ვიზიტის დღის წესრიგი და განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები. აღნიშნული დღის წესრიგი წინასწარ გადაეგზავნა დაწესებულებას და ვიზიტიც მისი მიხედვით წარიმართა. ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, ხარისხის უზრუნველყოფაზე, სასწავლო პროცესზე, ადამიანურ რესურსებსა და მატერიალურ ბაზაზე პასუხისმგებელ პირებს, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს. ასევე, ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო სივრცეები, პრაქტიკის ბაზები, ბიბლიოთეკა და სხვა მატერიალური რესურსები. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია გაანალიზა დოკუმენტური მასალის, ვიზუალური დათვალიერების და ინტერვიუების საფუძველზე. ძირითადი მიგნებები ვიზიტის მსვლელობისასაც მიეწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს და სრულად შეჯამდა ვიზიტის დასასრულს.

ხარვეზი არ გამოვლენილა. გაიცა **სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია:**
დაწესებულებამ წარმოადგინა კოლეჯის „იბერია“ დირექტორის 2026 წლის 13 მაისის MES565732 ბრძანებით დამტკიცებული **„შესაბამისობის გეგმა“,** სადაც მითითებულია, რომ „„ხის ნაკეთობათა და ავეჯის დამზადება“ " საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულება საჭიროებს პროგრამის განაცხადის „დანართ 2“-ში მითითებული აღჭურვილობის შეძენას. მატერიალური რესურსის შეძენის დასრულების ვადად განსაზღვრულია – 2026 წლის 13 ნოემბერი. დაფინანსება განხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. განსაზღვრულია შემსრულებელი და შესრულების ინდიკატორები. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ექსპერტებმა ინდიკატორი 2.2.1.1 შეაფასა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება:
1. რეკომენდაცია შრომის უსაფრთხოების ნიშნების განლაგებასთან დაკავშირებით. ხის დასამუშავებელ სასწავლო საამქროში, ჩარხებთან ახლოს, სტუდენტებისათვის გამოკრული უნდა იყოს ოთხი ძირითადი კატეგორიის უსაფრთხოების ნიშნები. საამქროში კი არის ნიშნები, მაგრამ ჩარხებზეა განთავსებული, ამიტომ უკეთესი იქნება თუკი კედელზე, უფრო თვალსაჩინო ადგილზე გაიკვრება.
2. კარგი იქნება დამატებითი ფართის გამოყოფა სადურგლო სახელოსნოსათვის საფინიშო დამუშავების უბანისათვის (გალაქვა, დაზუმფარება), ასევე სასაწყობე ფართი მასალებისათვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – ხის ნაკეთობათა და ავეჯის დამზადება
პროგრამის სახელწოდებაა „ხის ნაკეთობათა და ავეჯის დამზადება“, რომელიც შეესაბამება პროფესიული განათლების მე-4 დონეს. კურსდამთავრებულს ანიჭებს საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციას სადურგლო საქმეში (დეტალური სფეროს კოდი: 0732). პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 18 მაისის N581637 ბრძანებით. სწავლების ენაა ქართული, მისამართი ქალაქ ქუთაისში, ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩა N61-ში. პროგრამა ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, სადაც მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 30-ს. არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის

შემთხვევაში, ქართულენოვანი სტუდენტებისთვის პროგრამის მოცულობა განისაზღვრა 79 კრედიტით, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის – 109 კრედიტით. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა პროგრამაზე მოთხოვნილ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას.
პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების მხრივ (2.1) აღინიშნა, რომ „ხის ნაკეთობათა და ავეჯის დამზადების“ პროგრამის დანერგვა ეფუძნება კოლეჯის მისიას, სტრატეგიულ გეგმასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს, სადაც სამშენებლო, სარემონტო და ავეჯის წარმოების სექტორების განვითარების გამო სადურგლო საქმის სპეციალისტებზე მაღალი მოთხოვნა ფიქსირდება. ახალი პროგრამა ჩაენაცვლა ძველ „ხის მხატვრული დამუშავების“ ჩარჩო დოკუმენტს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა (30 სტუდენტი) განსაზღვრულია შესაბამისი მეთოდოლოგიით C სასწავლო გარემოს (სასწავლო სახელოსნო) გამტარუნარიანობის გათვალისწინებით (10 სტუდენტი ცვლაში, 3-ცვლიანი მუშაობის მოდელით). პროგრამა არ შეიცავს არჩევით მოდულებს. იგი დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის – დირექტორის მიერ. მისი სახელწოდება ზუსტად ასახავს შინაარსს და სრულად შეესაბამება მოქმედ საკანონმდებლო მოთხოვნებსა და ეროვნულ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს (№ 07.35.1). კომპონენტი 2.1 შეფასდა როგორც შესაბამისი“

პროგრამის განხორციელების რესურსების მიმართულებით აღინიშნა, რომ ინდიკატორი 2.2.1.1 შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“. მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვილობასთან დაკავშირებით დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის 2026 წლის 13 მაისის MES565732 ბრძანებით დამტკიცებული „შესაბამისობის გეგმა“, რომლის მიხედვითაც ნაკლული აღჭურვილობის სრული შესყიდვა დაგეგმილია 2026 წლის 13 ნოემბრამდე. პედაგოგებისა და პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია და დატვირთვა (მაქს. 40 საათი კვირაში) აკმაყოფილებს მოთხოვნებს, თითოეულ დარგობრივ მოდულს ჰყავს მინიმუმ ორი განმახორციელებელი. სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში მატერიალური და ელექტრონული სახით. ინფრასტრუქტურა ადაპტირებულია სსსმ/შშმ პირებისთვის და მოქმედებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების (ისგ) შემუშავების მექანიზმები. ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია სახელმწიფო ასიგნებებით, ვაუჩერული დაფინანსებითა და ეკონომიკური შემოსავლებით (რენტაბელობის ზღვარი: 9 სტუდენტი).
პროგრამის შეფასებისა და განვითარების მხრივ (2.3) კოლეჯში მოქმედებს დირექტორის 2020 წლის 7 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებული მეთოდოლოგია, რომელიც ეფუძნება „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ (PDCA) ციკლს. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები მოიცავს სტუდენტების, დამსაქმებლებისა და პედაგოგების გამოკითხვას, მიღებული შედეგების ანალიზსა და პროგრამაში/მოდულებში შესაბამისი არგუმენტირებული ცვლილებების განხორციელებას.
სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და სტუდენტთა შეფასების კუთხით (2.4), პროცესი მიმდინარეობს დამტკიცებული სასწავლო გეგმის შესაბამისად. დაწესებულება ითვალისწინებს სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, იყენებს სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და უსაფრთხოების ნორმებს (მოქმედებს ვიდეომონიტორინგი, საევაკუაციო სისტემები, სახანძრო ინვენტარი და უსაფრთხოების სპეციალისტი). პრაქტიკული კომპონენტის მხარდასაჭერად კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები პარტნიორ საწარმოებთან (მაგ. შპს „გოგოვუდსი“, ი/მ ბაბუნაშვილი). შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე და ობიექტური. იგი მოიცავს შეფასების ინსტრუმენტების წინასწარ ვალიდაციას, შეფასების პროცესისა და მტკიცებულებების შიდა ვერიფიკაციის მექანიზმს. შეფასების მონაცემები ინახება 3 წლის ვადით, ხოლო შედეგები აქტიურად გამოიყენება სტუდენტთა შემდგომი განვითარებისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, ყურადღება გაამახვილა ექსპერტის მიერ გაცემულ განმავითარებელ რეკომენდაციაზე, რომელიც სამუშაოებისა და მასალების დასასაწყობებლად დამატებითი ფართის გამოყოფას ეხებოდა. თავმჯდომარემ დასვა კითხვა, თუ რატომ განიხილებოდა აღნიშნული საკითხი მხოლოდ განმავითარებელ რეკომენდაციად და არა პროგრამის სრულფასოვანი განხორციელებისათვის აუცილებელ პირობად, იმ შემთხვევაში, თუ გალაქვა, დაზუმფარება და მასალების უსაფრთხო შენახვა პრაქტიკული სწავლების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა.
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თინათინ მეფარიშვილმა, განმარტა, რომ დასკვნის მომზადებისას აღნიშნული საკითხი გაიარეს დარგის ექსპერტთან, ბატონ მამუკასთან. ექსპერტის პოზიციით, დამატებითი ცალკეული ფუნქციური სივრცის არსებობა სასურველი იქნებოდა, რის გამოც მან ეს საკითხი განმავითარებელი რეკომენდაციის სახით ასახა და შესაბამისი რჩევები დაწესებულებასაც გაუზიარა.
დაწესებულების წარმომადგენელმა, თამთა კვინიკაძემ, განაცხადა, რომ კოლეჯს გააჩნია დიდი ფართი, სადაც ძირითადი დანადგარებია განთავსებული, ასევე შედარებით მცირე ზომის დამატებითი სივრცეები მასალების შესანახად. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებისთვის უკეთესი იქნებოდა უფრო მოცულობითი ფართების ფლობა. წარმომადგენელმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია, რომ სასაწყობე ფართის მშენებლობაზე უკვე მიღებულია თანხმობა მერიისგან და გაგზავნილია მოთხოვნა სამინისტროში დაფინანსების გამოყოფის თაობაზე. ახალი სასაწყობე სივრცე აშენდება უშუალოდ სახელოსნოს გვერდით, რაც გაათავისუფლებს ამჟამად მასალებით დაკავებულ ადგილს. გარდა ამისა, თამთა კვინიკაძემ აღნიშნა, რომ ADB ბანკის მხარდაჭერით იგეგმება დამატებითი დიდი სახელოსნოების მშენებლობა ხის მხატვრული დამუშავების მიმართულებით მოკლევადიანი პროგრამებისთვის, რაც კოლეჯის შემდგომ განვითარებას უზრუნველყოფს.
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სამომავლო გეგმები დადებითია, თუმცა ხაზი გაუსვა არსებული მდგომარეობის შეფასების აუცილებლობას. მან იკითხა, თუ სად ხორციელდება უშუალოდ გალაქვისა და დაზუმფარების პროცესები.
თინათინ მეფარიშვილმა განმარტა, რომ აღნიშნული კომპონენტები ხორციელდება იმავე სივრცეში და მათ განხორციელებას საფრთხე არ ემუქრება. თამთა კვინიკაძემ დაამატა, რომ სახელოსნო აღჭურვილია შესაბამისი გამწოვი და ვენტილაციის სისტემებით.
საბჭოს წევრმა, გოჩა გოგიტიძემ, იკითხა, თუ რა მოსაზრებითა და საჭიროებით განისაზღვრებოდა დამატებითი სივრცის აუცილებლობა, თუკი არსებულ პირობებში პროცესი შეუფერხებლად მიმდინარეობდა.
თამთა კვინიკაძემ განმარტა, რომ არსებული სახელოსნო კოლეჯში ყველაზე დიდია, მოწყობილია გერმანული მოდელით და სრულად აღჭურვილია ინდივიდუალური გამწოვი სისტემებით. თუმცა, სხვადასხვა პრაქტიკული კომპონენტისთვის ცალ-ცალკე ოთახების არსებობა უკეთეს პირობებს შექმნიდა.
თინათინ მეფარიშვილმა აღნიშნა, რომ ადგილზე დათვალიერებისას სტუდენტების მიერ შესრულებული სამუშაოები მოიცავდა გალაქულ და დაზუმფარებულ ნიმუშებს. მისი მოსაზრებით, ვინაიდან სამუშაოები მოითხოვს დიდ სივრცეს, ხოლო გალაქვის პროცესი საჭიროებს სპეციალურ გამწოვ სისტემას, უმჯობესია გამოყოფილი იყოს ცალკე სივრცე, რომ ხელი არ შეეშალოს სხვა პრაქტიკულ აქტივობებს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯი იბერიასთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ხის ნაკეთობათა და ავეჯის დამზადება“ დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ კოლეჯი იბერიას (ს/კ: 212682051) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ხის ნაკეთობათა და ავეჯის დამზადება“ **(დანართი 4).**

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 10 აგვისტო.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს მონიტორინგი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ხის ნაკეთობათა და ავეჯის დამზადება“ 2.2. კომპონენტში. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ექსპერტების ვიზიტი. მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 16 ნოემბერი.

მეხუთე საკითხი: სსიპ კოლეჯი იბერიასთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედუღება“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თინათინ მეფარიშვილმა საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის სიპ – განათლების ხარისხი 2026 წლის 4 ივნისის N667357 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "შედუღების" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით სსიპ კოლეჯ "იბერიაში" 2026 წლის 19 ივნისს (ქ. ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N61). ვიზიტამდე, ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული დოკუმენტაცია. ჯგუფის წევრებს შორის გაიმართა შიდა შეხვედრები, დაიგეგმა ვიზიტის დღის წესრიგი და განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები. აღნიშნული დღის წესრიგი წინასწარ გადაეგზავნა დაწესებულებას და ვიზიტიც მისი მიხედვით წარიმართა. ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, ხარისხის უზრუნველყოფაზე, სასწავლო პროცესზე, ადამიანურ რესურსებსა და მატერიალურ ბაზაზე პასუხისმგებელ პირებს, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს. ასევე, ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო სივრცეები, პრაქტიკის ბაზები, ბიბლიოთეკა და სხვა მატერიალური რესურსები. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია გაანალიზა დოკუმენტური მასალის, ვიზუალური დათვალიერების და ინტერვიუების საფუძველზე. ძირითადი მიგნებები ვიზიტის მსვლელობისასაც მიეწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს და სრულად შეჯამდა ვიზიტის დასასრულს.
ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა რეკომენდაციები.

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება
დაწესებულებამ წარმოადგინა კოლეჯის „იბერია“ დირექტორის 2026 წლის 13 მაისის MES 565732 ბრძანებით დამტკიცებული **„შესაბამისობის გეგმა“,** სადაც მითითებულია, რომ ,,შედუღების“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულება საჭიროებს პროგრამის განაცხადის „დანართ 2“-ში მითითებული აღჭურვილობის შეძენას. მატერიალური რესურსის შეძენის დასრულების ვადად განსაზღვრულია – 2026 წლის 13 ნოემბერი. დაფინანსება განხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. განსაზღვრულია შემსრულებელი და შესრულების ინდიკატორები. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ექსპერტებმა ინდიკატორი 2.2.1.1 შეაფასეს, როგორც მეტწილად შესაბამისი.**

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება
ქვესტანდარტი 2.4.1.1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
რეკომენდებულია, სასწავლო გეგმაში „შედუღების მასალების“ მოდულზე სწავლება მეთხუთმეტე კვირის ნაცვლად დაიწყოს სწავლების პირველი კვირიდან. ასევე, „შედუღების პროცესისთვის მასალების მომზადების“ მოდულის სწავლება 23-ე კვირის ნაცვლად დაიწყოს სწავლების დასაწყისში. ხოლო, „ხელით ელექტრორკალური შედუღების“ მოდულის შესწავლა შესაძლებელია განხორციელდეს მინიმუმ მეხუთე, ან მომდევნო კვირიდან.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – შედუღება

პროგრამა „შედუღება“ მიეკუთვნება პროფესიული განათლების მე-4 დონეს, ანიჭებს საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციას შედუღებაში (დეტალური სფეროს კოდი: 0715) და დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 18 მაისის №581552 ბრძანებით. სწავლება განხორციელდება ქართულ ენაზე, ქ. ქუთაისში, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. №61-ში მდებარე კოლეჯის ბაზაზე, იმიტირებულ სამუშაო გარემოში. პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა შეადგენს 30-ს. არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში, კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის განსაზღვრულია 87 კრედიტით, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის – 117 კრედიტით. ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა მოთხოვნილ ზღვრულ რაოდენობას.

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების მხრივ (2.1) დაწესებულება შეფასდა როგორც „შესაბამისი“. პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების გადაწყვეტილება ეფუძნება იმერეთის რეგიონში შრომის ბაზრის კვლევას, რომელმაც აჩვენა კვალიფიციური შემდუღებლების მაღალი დეფიციტი სამშენებლო და ლითონკონსტრუქციების მწარმოებელ საწარმოებში. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება, რაც შეესაბამება 2026 წლის 16 მარტის №312850 ბრძანებით დამტკიცებულ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა (30 სტუდენტი, ორ ცვლაში 15-15) გათვლილია შესაბამისი მეთოდოლოგიით. პროგრამა მოიცავს 4-კრედიტიან არჩევით მოდულს „ლითონების აირალური შედუღება-ჭრა და პლაზმური ჭრა“, რაც ლოგიკურ კავშირშია კვალიფიკაციასთან. პროგრამის სახელწოდება ზუსტად ასახავს შინაარსსა და 15 ძირითად სწავლის შედეგს. ასევე, ქართული ენის მოდულის ჩართვით უზრუნველყოფილია არაქართულენოვანი სტუდენტების საჭიროებები.

პროგრამის განხორციელების რესურსების შეფასებისას (კომპონენტი 2.2), ექსპერტთა ჯგუფმა ყურადღება გაამახვილა მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასა და ინფრასტრუქტურაზე. კოლეჯში გამოყოფილია თეორიული (A გარემო, 33.04 კვ.მ) და კომპიუტერული (B გარემო, 30.64 კვ.მ) სივრცეები, ხოლო პრაქტიკული სახელოსნო (C გარემო, 72 კვ.მ) ამ ეტაპზე ნაწილობრივ არის აღჭურვილი. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს დირექტორის 2026 წლის 13 მაისის MES 565732 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც საჭირო აღჭურვილობის სრული შესყიდვა სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2026 წლის 13 ნოემბრამდე დასრულდება. ამ გარემოების გათვალისწინებით, პირველი ინდიკატორი (2.2.1.1) შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია“. რაც შეეხება ადამიანურ რესურსს, პროგრამას ემსახურება 12 პედაგოგი (მათ შორის 4 პროფესიული მოდულის განმახორციელებელი), რომელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება შრომის კოდექსით დადგენილ 40 საათს (ინდიკატორი 2.2.1.2). პერსონალსა და დარგობრივად კომპეტენტურ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნიათ შესაბამისი გამოცდილება და სწავლის შედეგების გამომუშავების უნარი (ინდიკატორები 2.2.1.3 და 2.2.1.4). სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკასა და ელექტრონულ ბაზებში (ინდიკატორი 2.2.1.5), ხოლო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილია ინკლუზიური გარემო, ადაპტირებული რესურსები და ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (ინდიკატორი 2.2.1.6). ფინანსური თვალსაზრისით, კოლეჯის ბიუჯეტი (სახელმწიფო ასიგნებები 1,314,868 ლარი და საკუთარი შემოსავლები) და პროგრამის მოსალოდნელი ვაუჩერული დაფინანსება (245,070 ლარი) სრულად უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას, სადაც რენტაბელობის ზღვარი 9 სტუდენტით არის განსაზღვრული (ინდიკატორი 2.2.1.7). ჯამურად, 2.2 კომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

მესამე კომპონენტი (2.3), რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებასა და განვითარებას, ეფუძნება ხარისხის უზრუნველყოფის „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ (PDCA) ციკლურ მოდელს. კოლეჯს დანერგილი აქვს შიდა მექანიზმები, რომლებიც ითვალისწინებს სტუდენტების, დამსაქმებლებისა და პედაგოგების გამოკითხვის ანალიზს და ამის საფუძველზე გაუმჯობესების გეგმების შემუშავებას (ინდიკატორი 2.3.1.1). ასევე, მკაფიოდ არის გაწერილი

არგუმენტირებული ინიცირებისა და ადმინისტრაციული აქტების მეშვეობით პროგრამასა თუ მოდულებში ცვლილებების შეტანის პროცედურები (ინდიკატორი 2.3.1.2). აღნიშნული კომპონენტი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.
მეოთხე კომპონენტის (2.4) ფარგლებში შეფასდა სასწავლო პროცესის ორგანიზება და სტუდენტთა შეფასება. სასწავლო გეგმის ანალიზისას ექსპერტებმა გაასცეს რეკომენდაცია მოდულების ლოგიკურ თანმიმდევრობასთან დაკავშირებით. კერძოდ, მიზანშეწონილია მოდულების „შედუღების მასალები“ (რომელიც გეგმით 15-ე კვირიდან იწყება) და „შედუღების პროცესისთვის მასალების მომზადება“ (იწყება 23-ე კვირიდან) სწავლება დაიწყოს პირველივე კვირიდან, ხოლო მოდულის „ხელით ელექტრორკალური შედუღება“ დაწყება გადანაცვლდეს არანაკლებ მეხუთე კვირიდან. ამ რეკომენდაციის მიუხედავად, სასწავლო პროცესის დაგეგმვა მიჩნეულია შესაბამისად (ინდიკატორი 2.4.1.1). სასწავლო პროცესი არის მოქნილი, იყენებს თანამედროვე მეთოდებს, ითვალისწინებს სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და მიმდინარეობს უსაფრთხო გარემოში შრომისა და სახანძრო უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით (ინდიკატორები 2.4.1.2, 2.4.1.3, 2.4.1.4, 2.4.1.6). ვინაიდან სწავლება იმიტირებულ გარემოში მიმდინარეობს, საწარმოო პრაქტიკა არ არის გათვალისწინებული, თუმცა კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშესაწყობად გაფორმებულია მემორანდუმები შპს „საქმილსადმშენთან“ და შპს „დაგი+“-თან (ინდიკატორი 2.4.1.5). შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე და ობიექტური, მოიცავს ვერიფიკაციის სამეტაპიან მექანიზმს (ინსტრუმენტის ვალიდაცია, პროცესზე დაკვირვება და მტკიცებულებების შემოწმება) და უზრუნველყოფს მონაცემთა შენახვას 3 წლის ვადით, რაც შემდგომში გამოიყენება სწავლების ხარისხისა და პროგრამული განვითარებისთვის (ინდიკატორები 2.4.2.1–2.4.2.4).
შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე და ობიექტური. კოლეჯში მოქმედებს შეფასების ინსტრუმენტების, პროცესისა და მტკიცებულებების ვერიფიკაციის მრავალეტაპიანი მექანიზმი, რომელსაც სათავეში უდგას ხარისხის მართვის მენეჯერი და მასში ჩართულნი არიან ადმინისტრაციისა და დარგის წარმომადგენლები. ვერიფიკაციისას გათვალისწინებულია შესაძლო რისკ-ფაქტორებიც (მაგალითად, დამწყები პედაგოგი ან პრაქტიკული დავალებების სიმრავლე). დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული ყველა მონაცემისა და მტკიცებულების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების შედეგები აქტიურად გამოიყენება სტუდენტთა შემდგომი განვითარებისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს მდივანმა, ნათია ბუთხუზმა, დასვა შეკითხვა დარგის ექსპერტის მიერ გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც სასწავლო გეგმაში სასწავლო მოდულების გადაადგილებას ეხებოდა. მან ითხოვა განმარტება, თუ რას ეფუძნებოდა აღნიშნული რეკომენდაცია და რატომ არ შეიძლებოდა სასწავლო გეგმის თავდაპირველი სახით დატოვება. მან ასევე აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი იყო პროგრამის ხელმძღვანელის პოზიციის მოსმენა, ვინაიდან დარგის ექსპერტის ასეთი რეკომენდაცია, როგორც წესი, აუცილებელ შესასრულებელ პირობას წარმოადგენს, და დაინტერესდა, თუ რატომ არ შედგა სასწავლო გეგმა თავიდანვე ამ სახით.
დარგის ექსპერტმა, ირმა ღარიბაშვილმა, განმარტა, რომ საკითხი წინასწარ იყო განხილული პროგრამის ხელმძღვანელთან. მან აღნიშნა, რომ პრაქტიკული პროცესებისა და შედუღების აპარატურის გამოყენების დაწყებამდე სტუდენტი აუცილებლად უნდა ფლობდეს თეორიულ ცოდნას შედუღების მასალებისა და მათი მომზადების შესახებ. არსებულ გეგმაში ხელით ელექტრორკალური შედუღება იწყებოდა პირველივე კვირიდან, ხოლო მასალების შესწავლა

გათვალისწინებული იყო მე-15 კვირიდან. ლოგიკური თანმიმდევრობის უზრუნველსაყოფად ჩაითვალა, რომ ჯერ მასალებისა და მათი მომზადების შესწავლა უნდა მომხდარიყო, რასაც შემდგომში მოჰყვებოდა პრაქტიკული პროცესები. ექსპერტმა დაამატა, რომ პროგრამის ხელმძღვანელთან მსჯელობის შემდეგ მიღწეულ იქნა შეთანხმება.
ნათია ბუთხუზმა აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი უფრო ხარვეზს წარმოადგენდა, ვიდრე რეკომენდაციას, რადგან არსებული სასწავლო გეგმით შესაძლოა ეტაპობრივი სწავლის შედეგები ვერ მიღწეულიყო.
ირმა ღარიბაშვილმა განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი ხარვეზად არ ჩაითვალა იმ მიზეზით, რომ თითოეული მოდულის პირველი შედეგი მოიცავს თეორიულ საკითხებს. პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, სტუდენტი პირველი შედეგის ფარგლებში მიიღებდა თეორიულ ინფორმაციას, რის შემდეგაც გადავიდოდა პრაქტიკულ ნაწილზე. ამდენად, სასწავლო პროცესის უკეთესად ორგანიზების მიზნით გაიცა რეკომენდაცია, რომ რამდენიმე კვირის შემდეგ დაიწყოს ხელით ელექტრორკალური შედუღების სწავლება.
დაწესებულების წარმომადგენელმა, თამთა კვინიკაძემ, აღნიშნა, რომ რეკომენდაცია დაწესებულების მხრიდან უკვე გათვალისწინებულია და სასწავლო გეგმაში შესაბამისი ცვლილება შეტანილია. თამთა კვინიკაძემ განმარტა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი თავად არის აღნიშნული პროგრამის ერთ-ერთი შემმუშავებელი და ექსპერტთან კომუნიკაციის შემდეგ გაიზიარა პროცესის უკეთ დაგეგმვის შესაძლებლობა.
ნათია ბუთხუზმა აღნიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი უნდა იყოს დარგის სპეციალისტი, რომელსაც მსგავსი რჩევები არ უნდა სჭირდებოდეს. თამთა კვინიკაძემ და ირმა ღარიბაშვილმა ხაზი გაუსვეს, რომ პროგრამის ხელმძღვანელი არის მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალი და დარგის წამყვანი სპეციალისტი.
საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, დასვა კითხვა იმის შესახებ, რომ პროგრამა სრულად ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში და არ მოიცავს საწარმოო პრაქტიკას. მან ითხოვა დარგის ექსპერტის პოზიციის დაფიქსირება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად შესაძლებელია ამ ფორმატით ყველა პრაქტიკული სწავლის შედეგის სრულად მიღწევა. ირმა ღარიბაშვილმა განმარტა, რომ იმ პირობებში, როდესაც დაწესებულებას მოპოვებული აქვს საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული ყველა მატერიალური რესურსი, პროგრამის ფარგლებში სწავლის შედეგების სრულად მიღწევა პრობლემას არ წარმოადგენს.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ კოლეჯ „იბერიას“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „შედუღება“ 2.2. კომპონენტში. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი. მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 16 ნოემბერი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯი იბერიასთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედუღება“ დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული

,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ კოლეჯი იბერიას (ს/კ: 212682051) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შედუღება“ **(დანართი 5).**

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 10 აგვისტო.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 16:38 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
კაკაბაძე ელენე



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
ჩხარტიშვილი ხათუნა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბუთხუზი ნათია

ელექტრონული
შეფასებისმეღირი
ელექტრონულად

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	კულინარია
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზირი N 38 ქ. ბათუმი, მეგობრობის ქუჩა N2
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	300
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

პროგრამის სახელწოდება	სასტუმროს მომსახურება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმროს მომსახურებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზირი N 38
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალური სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	300
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	74
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	104

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	მასაჟის თერაპია
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მასაჟის თერაპიაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0915
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, თორნიკე ერისთავის 15ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	60
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	97
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	127

დანართი 3

პროგრამის სახელწოდება	კულინარია
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N61
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	60
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

დანართი 4

პროგრამის სახელწოდება	ხის ნაკეთობათა და ავეჯის დამზადება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სადურგლო საქმეში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N61
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	79
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	109

დანართი 5

პროგრამის სახელწოდება	შედუღება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0715
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N61
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117